

შპს “Georgian Fashion Group” (ს/კ 404393786)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “Georgian Fashion Group” (404393786) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის- საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, პ.უმიკაშვილის ქ., N3 .

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია და საიჯარო მომსახურება.

კომპანიაში პარტნიორთა წილები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- გიორგი ფესსმან, 01018002678 - 100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგროპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ამ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის თვეში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე,

შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები - 5%
- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 20 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულები) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის

ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2019	2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	473907	561791
შემოსავალი მომსახურებიდან	79770	124038
	553677	685829

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019	2018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(255081)	(336339)
	(255081)	(336339)

6. მიწოდების ხარჯები

	2019	2018
მიწოდების ხარჯები	(427)	0
	(427)	0

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(108765)	(97574)
საიჯარო ხარჯი	(162787)	(141185)
კომუნიკაციის ხარჯები	(4138)	(4277)
ცვეთა და ამორტიზაცია	(14487)	(30113)
კომპიუტერის ხარჯი	(496)	(521)
კომუნალური ხარჯი	(4855)	(8471)
სხვა საერთო ხარჯი	(27577)	(761)
	(323106)	(282902)

8. არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯი

	2019	2018
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავალი	24821	868
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(2008)	(106071)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15498	2721

	38310	(102481)
--	-------	----------

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	7613	4888
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2677	133
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	22077	400
	32367	5421

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო დებიტორები	77100	89911
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	172240	72620
სხვა მოთხოვნები	37822	37208
	287162	199739

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019	2018
საქონელი	401876	359541
ნედლეული და მასალები	8370	3895
მზა პროდუქცია	52058	85906
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	3947	3817
	466250	453159

12. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	შენობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2019 წ.	345535	36650	27834	410019
შემოსვლა	()	1068	10720	11788
გასვლა	()	(559)	()	(559)
31 დეკემბერი 2019 წ.	345535	37158	38554	421248

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	შენიშვნა	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2019 წ.	115523	23225	19615	158364
წლიური ცვეთა	11501	144	2346	13990
31 დეკემბერი 2019 წ.	127024	23369	21961	172354
საბალანსო ღირებულება	218511	13789	16593	248894

13. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	
1 იანვარი 2019 წ.	2475
შემოსვლა	()
გასვლა	()
31 დეკემბერი 2019 წ.	2475
1 იანვარი 2019წ. დაგროვილი ცვეთა	(2273)
წლიური ამორტიზაცია	(30)
31 დეკემბერი 2019წ. დაგროვილი ცვეთა	(2303)
31 დეკემბერი 2019წ. საბალანსო ღირებულება	172

14. სხვა გრძელვადიანი აქტივები

თვითღირებულება	
1 იანვარი 2019 წ.	184933
შემოსვლა	()
გასვლა	()
31 დეკემბერი 2019 წ.	184933

15. მოკლევადიანი ვალდებულებები

	2019	2018
კრედიტორული დავალიანება	692758	563470
მიღებული ავანსები	8036	2422
საგადასახადო ვალდებულებები	(18290)	(5226)
	682504	560666

16. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ორი ფართი .ამ იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად:

2019	2018
(162787)	(141185)

17. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისთვის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს (510060) ლარს, რომელიც შედგება საწესდებო კაპიტალის 21545 ლარი და გაუნაწილებელი მოგება/ზარალი (531605) ლარისგან.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: გიორგი ფესსმან

ხელმოწერა:



შპს Georgian Fashion Group

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე აქტივები		785780	658319	687248
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	32368	5420	19793
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	114922	127119	89843
გაცემული ავანსები	10	172240	72620	38549
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	466250	453160	539062
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0	0
გრძელვადიანი გაქტივები		434000	436790	466783
ძირითადი საშუალებები	12	248895	249381	279374
არამატერიალური აქტივები	13	172	2475	2475
სხვა გრძელვადიანი აქტივი	14	184933	184933	184933
სულ აქტივები		1219780	1095109	1154031
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე ვალდებულებები		682505	560666	358474
მოკლევადიანი ვალდებულებები	15	692758	563470	373685
საგადასახადო ვალდებულებები	15	-18290	-5226	-19411
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15	8036	2422	4200
გრძელვადიანი ვალდებულებები		1047333	973796	1042244
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1047333	840646	866126
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		0	133150	176117
საკუთარი კაპიტალი		-510059	-439353	-246686
საწესდებო კაპიტალი	17	21545	49620	143613
დაუფარავი ზარალი		0	0	0
გადაფასების რეზერვი		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	17	-531604	-488972	-390299
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1219780	1095109	1154031

დირექტორი: გიორგი ფესმან

ხელმოწერა:

შპს Georgian Fashion Group

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე აქტივები		785780	658319	687248
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	32368	5420	19793
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	10	114922	127119	89843
გაცემული ავანსები	10	172240	72620	38549
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	466250	453160	539062
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0	0
გრძელვადიანი გაქტივები		434000	436790	466783
ძირითადი საშუალებები	12	248895	249381	279374
არამატერიალური აქტივები	13	172	2475	2475
სხვა გრძელვადიანი აქტივი	14	184933	184933	184933
სულ აქტივები		1219780	1095109	1154031
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
მიმდინარე ვალდებულებები		682505	560666	358474
მოკლევადიანი ვალდებულებები	15	692758	563470	373685
საგადასახადო ვალდებულებები	15	-18290	-5226	-19411
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	15	8036	2422	4200
გრძელვადიანი ვალდებულებები		1047333	973796	1042244
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		1047333	840646	866126
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		0	133150	176117
საკუთარი კაპიტალი		-510059	-439353	-246686
საწესდებო კაპიტალი	17	21545	49620	143613
დაუფარავი ზარალი		0	0	0
გადაფასების რეზერვი		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	17	-531604	-488972	-390299
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1219780	1095109	1154031

დირექტორი: გიორგი ფესსმან

ხელმოწერა:



შპს Georgian Fashion Group

საიდენტიფიკაციო კოდი: 404393786

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	553677	685828
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(255081)	(336339)
საერთო მოგება		298596	349489
სხვა შემოსავალი		0	0
მიწოდების ხარჯები	6	(427)	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(308403)	(279656)
სხვა ხარჯები	7	(14703)	(3246)
საოპერაციო მოგება		(24936)	66587

მოგება\ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	8	22813	(105202)
ფინანსური ხარჯი		(55973)	(62776)
ფინანსური შემოსავალი		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8	15498	2721
მოგება დაბეგვრამდე		(42598)	(98670)

მოგების გადასახადის ხარჯი		(35)	(3)
მიმდინარე წლის მოგება		(42633)	(98673)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა		0	0

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(42633)	(98673)
---	--	----------------	----------------

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		(439353)	(246686)
ახალი აქციების გამოშვება		95328	71812
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(42633)	(98673)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(123401)	(165805)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	17	(510059)	(439353)

დირექტორი: გიორგი ფესმან

ხელმოწერა:

შპს Georgian Fashion Group

საიდენტიფიკაციო კოდი: 404393786

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	553677	685828
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(255081)	(336339)
საერთო მოგება		298596	349489
სხვა შემოსავალი		0	0
მიწოდების ხარჯები	6	(427)	0
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(308403)	(279656)
სხვა ხარჯები	7	(14703)	(3246)
საოპერაციო მოგება		(24936)	66587
მოგება\ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	8	22813	(105202)
ფინანსური ხარჯი		(55973)	(62776)
ფინანსური შემოსავალი		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	8	15498	2721
მოგება დაბეგვრამდე		(42598)	(98670)
მოგების გადასახადის ხარჯი		(35)	(3)
მიმდინარე წლის მოგება		(42633)	(98673)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		(42633)	(98673)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		(439353)	(246686)
ახალი აქციების გამოშვება		95328	71812
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(42633)	(98673)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(123401)	(165805)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		(510059)	(439353)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	17	(510059)	(439353)

დირექტორი: გიორგი ფესსმან

ხელმოწერა:

